მდუმარე ნოტები მუსიკაში

ავტორი მაია გოგსაძე

მუსიკა მუსიკალურ „ხმაურთან“ ერთად აღსავსეა სიჩუმით და ის პაუზებით „გამოითქმება“. ვინაიდან პაუზაც მუსიკაა, ნაწარმოები ბგერებისა და პაუზების დიალოგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. პაუზის დროს შემსრულებელი და მსმენელი, ფაქტობრივად, სიჩუმეს უსმენს.

პაუზები, განსაკუთრებით თანამედროვე მუსიკისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც ნაწარმოებში უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. იმედია, ხელოვნებაში სიჩუმის ზრდის ტენდენცია თანდათან ერთ დიდ პაუზად, თეთრ ტილოდ, სიცარიელედ არ გარდაიქმნება. ბუნებრივია, აქ უმალ თავს შეგვახსენებს მუსიკის აღსაქმელად „განწირული“ მსმენელთა აუდიტორია კეიჯის „სიჩუმის 4 წუთისა და 33 წამის“ ცნობილი ექსპერიმენტით.

მუსიკალური სასვენი ნიშნები

თუ კარგად დავაკვირდებით, მუსიკაში პაუზები, თავისებურად, სასვენ ნიშნებს მოგვაგონებს. პაუზები აზრობრივი აქცენტების დასმაში გვეხმარება – ფრაზებს და წინადადებებს ერთმანეთისგან განაცალკევებს.

შეგახსენებთ, მუსიკალურ ნაწარმოებში სინტაქსური სტრუქტურების დაყოფას, ანუ ნაწილების გამიჯვნის მომენტს ცეზურა ეწოდება. ცეზურის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი პაუზაა. ცეზურა, როგორც წესი, იქ შეიგრძნობა, სადაც მუსიკა „ჩერდება“, როდესაც ჟღერადობა რეალურად წყდება, ანუ პაუზა „ჩამოვარდება“. გამოცალკევებული ნაწილები, ანუ ამგვარი მუსიკალურ-მხატვრული ხერხი ნაწარმოების ხასიათის მაქსიმალური სიმძაფრის შესაქმნელად გამოიყენება და მთლიანობაში მუსიკის მკაფიოდ აღქმაში გვეხმარება.

ყველას შეგვიმჩნევია, რომ საუბრისას ყველაფერს არ ვახმოვანებთ, მაგრამ ვგულისხმობთ. ეს რაღაცით ჰგავს მუსიკაში „მდუმარე, გაჩერებულ ნოტებს“, ანუ პაუზებს, რაშიც სწორედ მუსიკას ვგულისხმობთ ხოლმე. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გაჩერება უსასრულო დასვენებას არ გულისხმობს, და რომ პაუზები, ანუ წილები პაუზებში გულისყურით უნდა დაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რიტმიდან ამოვარდებით და ნაწარმოებში გზას ვეღარ გავიკვლევთ.

როგორც ვიცით, მუსიკალურ ნაწარმოებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება რიტმულ მხარეს. აქ მონაწილეობს როგორც სხვადასხვა გრძლიობის ბგერები, ასევე ერთგვარი დუმილის მომენტები – პაუზები. ვინაიდან მუსიკა მუდმივად მიედინება, ნაწარმოებში ნოტებთან ერთად პაუზებიც ტაქტიდან ტაქტში მშვიდად გადადის. ნოტების (ბგერების) მსგავსად პაუზებსაც თავისი ხანგრძლივობა და გადათვლის წესი აქვს.

სანოტო ნიშნები ნაწარმოებში სიჩუმის აღსანიშნად. პაუზების დამწერლობა

სანოტო ნიშანი „პაუზა“ ჟღერადობის გარკვეული დროით შეწყვეტა-შესვენებას აღნიშნავს.

თითოეული გრძლიობის ნოტს შესატყვისი გრძლიობის პაუზა აქვს (ბგერის გრძლიობაზე უკვე გესაუბრეთ წერილში „მუსიკალური ანბანი – მოსწავლეებისთვის აუცილებელი ცოდნა“).

მაგ: მთელ ნოტს (4 თვლა) მთელი პაუზა (4 თვლა) შეესაბამება, ნახევარს (2 თვლა) – ნახევარი პაუზა (2 თვლა), მეოთხედს (1 თვლა) – მეოთხედი პაუზა (1 თვლა) და ა. შ.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი პაუზა, მაგ: მთელი და ნახევარი ერთმანეთს ქვაბურა ქუდით ჰგავს. მთელ პაუზას ფარფლი ზევით აქვს მიმართული, ხოლო ნახევარ პაუზას – ქვევით.

ნოტებში ჩასაწერად პაუზების გრაფიკული ნიშნები ასე გამოიყურება:



სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი პაუზა ჰორიზონტალური მოკლე შავი ხაზია, რომელიც სანოტო სისტემის მეოთხე ხაზზეა „დაკიდებული“ და ტაქტის შუაში იწერება. ნახევარი პაუზა ფორმით მთელის მსგავსია, მხოლოდ მესამე ხაზზეა „წამოსკუპებული“.

მეოთხედი პაუზა ელვას ჰგავს და ზიგზაგის ნიშნით გამოისახება.

ასევე ერთმანეთს ჰგავს მერვედი და მეთექვსმეტედი პაუზა. მერვედი პაუზა ძალიან ჰგავს შვიდიანს ერთი კუდით, მეთექვსმეტედი პაუზაც – შვიდიანს, მხოლოდ ორი კუდით. კუდების რაოდენობა პაუზებს მერვედი და მეთექვსმეტედი ნოტების მსგავსად ერთნაირი აქვთ.



მუსიკალური პაუზების სისტემა

დავალება: მუსიკალურ-მათემატიკური „ამოსახსნელი“ ამოცანა



წარსულშიც და აწმყოშიც კომპოზიტორები ნაწარმოებებში სიჩუმე-პაუზებს, როგორც შეწყვეტილ სუნთქვას, უხვად იყენებდნენ. XX საუკუნის ბოლოდან კი პაუზებმა განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა.

მდუმარება, როგორც კულტურის ენა, სრულიად ახალ მოვლენად იქცა. ხელოვნებაში მდუმარებას თავისთავად არსებობა არ შეუძლია. სიჩუმეს მრავალმნიშვნელოვნად მეტყველება უნდა შეეძლოს. სიჩუმე უნდა „გაჟღერდეს“.

საყურადღებოა პაუზების განსაკუთრებული გამომსახველობა შესანიშნავი ავსტრიელი კომპოზიტორის ანტონ ბრუკნერის შემოქმედებაში. „მისი პაუზები“ მსმენელთა წინაშე როგორც მუსიკის სრული გათიშვით, ისე თანდათანობითი ჩაჩუმების ნიშნებად „წარსდგება“ გარინდების სახით გაგრძელებული და თითქოს არაფერში გარდასახული.

იხილეთ ვიდეოს ბმული

ბრუკნერი ამ უკანასკნელ სიმფონიაზე მძიმედ დაავადებული მუშაობდა. ვინაიდან გრძნობდა, რომ მისი „გედის სიმღერა“ შესაძლოა დაუსრულებელი დარჩენილიყო, ნაწილებს გულმოდგინედ ათარიღებდა. მე-9 სიმფონიის მესამე ნაწილი, თავისი ღრმა ჩანაფიქრით კომპოზიტორის მთელი შემოქმედების ერთგვარი „ეპილოგია“.

P.S. „პაუზა გასვლაა სიჩუმეში, რის შემდეგ კვლავ ბგერა იბადება... და ეს სიჩუმე შევსებული უნდა იყოს წარმოდგენილი მუსიკით, თუმცა უკვე მსმენელის წარმოდგენაში. მუსიკა არ ჟღერს, მაგრამ ცუდია, თუკი პაუზის დროს მსმენელი მუსიკას გამოეთიშება და წყვეტა წარმოიქმნება. მაგრამ თუ პაუზა მუსიკის გაგრძელებად აღიქმება, მაშინ ეს პაუზა „მუშაობს““ (გია ყანჩელი – სიჩუმის მაესტრო).

იხილეთ ვიდეოს ბმული